REFLECTION OF THE CHARACTER'S INNER WORLD AND THE PRONOUNCED TENDENCIES OF THE HERO'S CHARACTER

(Some Samples of Love and Religious Poetry in the Oral Tradition of the Liakhvi Gorge)

პერსონაჟის შინაგანი სამყაროს ასახვა და გმირის სახის გამოკვეთილი ტენდენციები

(სატრფიალო და რელიგიური ლექსის ზოგიერთი ნიმუში ლიახვის ხეობის ზეპირსიტყვიერებაში)

Aleksandre Mgebrishvili
Doctor of Philological Sciences,
Professor of Gori State University,
Gori, Chavchavadze st., No53, 1400, Georgia,
+995577251205, aleqsandre.m@gmail.com,
https://orcid.org/0000-0002-4275-2417

Abstract. The paper, based on oral material from the Liakhvi Gorge, presents the issue of poetic modelling of the character's inner world and typological tendencies of the hero's image in Georgian romantic and religious folk poetry. The analysis shows that in both genres, the character's inner world is expressed through metaphorical and symbolic means, although with different emphases. Emotional individualisation dominates in romantic poetry, while in religious poetry – spiritual and moral-eschatological aspects prevail.

Georgian folk poetry – as a form of oral culture, not only conveys plot events but also creates a poetic model of the character's inner feelings, psychological state, and value system.

Romantic and religious poems are two different genre spaces, where:

A love poem is an expressive form of love, longing, and inner pain; in a romantic folk poem, the character's inner world is built on the dialectic of longing, separation, love pain, hope, and despair. The lyrical "I" is often individualised. He speaks of his own heart, tears, and thoughts. Inner feelings are expressed through the symbolism of nature. The hero of a romantic poem is emotionally open, openly expresses his feelings, and perceives himself in parallel with nature. The face of a woman is often idealised, and the son is a bearer of pain and devotion. However, in both cases, the hero's image is formed not by heroic action, but by inner feelings.

Religious poetry - is a collective expression of spiritual experience and faith. In religious folk poetry, the inner world of the character is less individual and more collective. The main themes here are sin and repentance, trust in God, the spiritual meaning of suffering, and the perspective of eternity. The texts often contain appeals to the Virgin Mary and Christ. The hero of a religious poem is obedient and prayerful, perceives his suffering as a spiritual trial, resolves internal conflicts by trusting in God, and is often a representative of a collective community.

If the romantic hero compares his feelings to nature, the religious hero connects his soul with the heavenly order.

The materials of the Liakhvi Gorge, with their historical and cultural specificity, clearly demonstrate the different psychological structures of these two genres.

Key words: Liakhvi Gorge, folklore, oral texts, folk poem, inner world of the character, love poem, religious poem.

ალექსანდრე მღებრიშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., No53, 1400, საქართველო,
+995577251205, aleqsandre.m@gmail.com,
https://orcid.org/0000-0002-4275-2417

აბსტრაქტი. ნაშრომში, ლიახვის ხეობის ზეპირსიტყვიერ მასალაზე დაყრდნობით, წარმოდგენილია საკითხი პერსონაჟის შინაგანი სამყაროს პოეტიკურ მოდელირებასა და გმირის სახის ტიპოლოგიური ტენდენციების შესახებ ქართულ სატრფიალო და რელიგიურ ხალხურ ლექსში. ანალიზი გვიჩვენებს, რომ ორივე ჟანრში პერსონაჟის შინაგანი სამყარო მეტაფორული და სიმბოლური საშუალებებით გამოიხატება, თუმცა განსხვავებული აქცენტებით. სატრფიალო ლექსში დომინირებს ემოციური ინდივიდუალიზაცია, ხოლო რელიგიურში - სულიერი და მორალურ-ესქატოლოგიური ასპექტები.

ქართული ხალხური ლექსი - როგორც ზეპირი კულტურის ფორმა, არა მხოლოდ სიუჟეტურ მოვლენებს გადმოსცემს, არამედ ქმნის პერსონაჟის შინაგანი განცდების, ფსიქოლოგიური მდგომარეობისა და ღირებულებითი სისტემის პოეტიკურ მოდელს.

სატრფიალო და რელიგიური ლექსები ორი განსხვავებული ჟანრული სივრცეა, სადაც:

<u>სატრფიალო ლექსი</u> - სიყვარულის, მონატრებისა და შინაგანი ტკივილის ექსპრესიული ფორმაა; სატრფიალო ხალხურ ლექსში პერსონაჟის შინაგანი სამყარო აგებულია მონატრების, განშორების, სიყვარულის ტკივილის, იმედისა და სასოწარკვეთის დიალექტიკაზე. ლირიკული „მე“ ხშირად ინდივიდუალიზებულია. იგი საუბრობს საკუთარ გულზე, ცრემლზე, ფიქრზე. შინაგანი განცდა ბუნების სიმბოლიკით გამოიხატება. სატრფიალო ლექსის გმირი ემოციურად გახსნილია, საკუთარ განცდებს ღიად გამოხატავს და ბუნებასთან პარალელურად აღიქვამს თავს. ქალის სახე ხშირად იდეალიზებულია, ხოლო ვაჟი - ტკივილისა და ერთგულების მატარებელი. თუმცა ორივე შემთხვევაში გმირის სახე არა გმირული მოქმედებით, არამედ შინაგანი განცდით ყალიბდება.

<u>რელიგიური ლექსი</u> - სულიერი გამოცდილებისა და რწმენის კოლექტიური გამოხატულებაა. რელიგიურ ხალხურ ლექსში პერსონაჟის შინაგანი სამყარო ნაკლებად ინდივიდუალური და უფრო კოლექტიურია. აქ მთავარი თემებია ცოდვა და სინანული, ღვთის მიმართ მინდობა, ტანჯვის სულიერი აზრი, მარადიულობის პერსპექტივა. ტექსტებში ხშირად გვხვდება მოწოდება ღვთისმშობლისა და ქრისტესადმი. რელიგიური ლექსის გმირი მორჩილი და მლოცველია, საკუთარ ტანჯვას სულიერ განსაცდელად აღიქვამს, შინაგან კონფლიქტს ღვთისადმი მინდობით აგვარებს, ხშირად კოლექტიური საზოგადოების წარმომადგენელია.

თუ სატრფიალო გმირი საკუთარ გრძნობას ბუნებას ადარებს, რელიგიური გმირი საკუთარ სულს ზეციურ წესრიგთან აკავშირებს.

ლიახვის ხეობის მასალები, თავისი ისტორიული და კულტურული სპეციფიკით, მკაფიოდ აჩვენებს ამ ორი ჟანრის განსხვავებულ ფსიქოლოგიურ სტრუქტურას.

საკვანძო სიტყვები: ლიახვის ხეობა, ფოლკლორი, ზეპირსიტყვიერი ტექსტები, ხალხური ლექსი, პერსონაჟის შინაგანი სამყარო, სატრფიალო ლექსი, რელიგიური ლექსი.

შესავალი. ხალხური ზეპირსიტყვიერება ნებისმიერი ეროვნული კულტურის ფუნდამენტური საყრდენია, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ინახავს და თაობებს გადასცემს ხალხის მსოფლმხედველობას, ეთიკურ ნორმებსა და ესთეტიკურ იდეალებს. ქართული ფოლკლორი, თავისი ჟანრობრივი მრავალფეროვნებითა და თემატური სიღრმით, მკაფიოდ ასახავს ქართველი ადამიანის სულიერ განვითარებასა და ფსიქოლოგიურ პორტრეტს. ტრადიციულად, ხალხურ პოეზიაზე მსჯელობისას ყურადღება ხშირად მახვილდება სიუჟეტურ ქარგაზე, ეპიკურ მასშტაბებსა თუ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ რეალიებზე. თუმცა, ფოლკლორული მემკვიდრეობის არანაკლებ მნიშვნელოვან და საგულისხმო ასპექტს წარმოადგენს პერსონაჟის შინაგანი სამყაროს მხატვრული მოდელირება, მისი ინდივიდუალური თუ კოლექტიური ფსიქოლოგიური სტრუქტურის წარმოჩენა, რაც განსაკუთრებული სიცხადით ვლინდება ლირიკულ ჟანრებში. წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს სწორედ ამ მხატვრული ფენომენის შესწავლას ლიახვის ხეობის ზეპირსიტყვიერ მასალაზე დაყრდნობით, სადაც ერთმანეთს უპირისპირდება და, ამავდროულად, ავსებს ორი სრულიად განსხვავებული ჟანრული სივრცე – სატრფიალო და სასულიერო-რელიგიური ლექსები.

ლიახვის ხეობა, თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, ისტორიული ბედუკუღმართობითა და კულტურული სპეციფიკით, ყოველთვის წარმოადგენდა მდიდარ ფოლკლორულ კერას. აქ დაცული და აღნუსხული ტექსტები იძლევა უნიკალურ შესაძლებლობას, თვალი ვადევნოთ იმ პოეტიკურ საშუალებებსა და მეტაფორულ სისტემებს, რომელთა მეშვეობითაც ხალხური მთქმელი ადამიანის სულიერი ცხოვრების ყველაზე დაფარულ შრეებში აღწევს. ფსიქოლოგიური წარმოსახვის სიღრმით ხალხურ შემოქმედებაში განსაკუთრებით გამოირჩევა ლირიკა, რადგან სწორედ ამ ჟანრში ხდება აქცენტის გადატანა გარეგანი მოვლენებიდან ადამიანის შინაგან „მე“-ზე, მის ემოციურ ევოლუციასა და ღირებულებათა სისტემაზე.

სატრფიალო ლირიკა ქართულ ფოლკლორში წარმოადგენს სიყვარულის, მონატრების, განშორებისა და შინაგანი ტკივილის ექსპრესიულ ფორმას. ამ ჟანრში პერსონაჟის სახე ყალიბდება არა გმირული, ფიზიკური მოქმედებებით, არამედ ღრმა ფსიქოლოგიური განცდებით, სადაც ლირიკული გმირი – ძირითადად ვაჟი – სრულიად ღიად და ემოციურად გახსნილად საუბრობს საკუთარ გულზე, ცრემლსა და ფიქრზე. სატრფიალო ლექსის გმირი ხშირად უკიდურესად ინდივიდუალიზებულია; იგი საკუთარ გრძნობებსა და სულიერ მდგომარეობას ბუნების მოვლენებსა და კოსმიურ სხეულებს ადარებს, ხოლო სატრფოს გარეგნულ მშვენიერებას სულიერი სილამაზის ტოლფასად აღიქვამს. ამავდროულად, ფოლკლორულ მასალაში ვხვდებით ქალის – როგორც ლირიკული გმირის სახესაც, რომლის განცდები, სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე, უფრო მოკრძალებული და თავშეკავებულია, თუმცა თანაბრად რელიეფური. აღსანიშნავია ისიც, რომ სატრფიალო და საყოფაცხოვრებო ლირიკაში სულიერი მდგომარეობის გადმოცემა ზოგჯერ იუმორისტულ ელემენტებსაც ეფუძნება, რაც კიდევ უფრო ამრავალფეროვნებს პერსონაჟის ფსიქოლოგიურ პორტრეტს.

სრულიად განსხვავებულ ჟანრულ და ფსიქოლოგიურ სტრუქტურას ავლენს სასულიერო-რელიგიური ხასიათის ლექსები, რომელთა წარმოშობა ქართულ ზეპირსიტყვიერებაში IV საუკუნიდან, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებიდან იწყება და წარმართულ პოეზიასთან იდეოლოგიური ბრძოლის შედეგს წარმოადგენს. თუკი სატრფიალო პოეზიაში წინა პლანზეა წამოწეული ინდივიდუალური განცდა, რელიგიურ ლექსში პერსონაჟის შინაგანი სამყარო ნაკლებად პერსონალური და უფრო მეტად კოლექტიური სულიერი გამოცდილების გამოხატულებაა. აქ მთავარ ღერძს წარმოადგენს ცოდვისა და სინანულის დიალექტიკა, ღვთისადმი აბსოლუტური მინდობა, მარადიულობის პერსპექტივა და ტანჯვის სულიერი, ესქატოლოგიური გააზრება. რელიგიური ლექსის გმირი მორჩილი და მლოცველი ფიგურაა, რომელიც საკუთარ სულს

არა მიწისმიერ ბუნებას, არამედ ზეციურ წესრიგს უკავშირებს, ხოლო შინაგან კონფლიქტებს ვედრებისა და ლოცვის გზით აგვარებს.

წინამდებარე ნაშრომში, ლიახვის ხეობაში დაცული კონკრეტული პოეტური ნიმუშების ანალიზის საფუძველზე, განხილულია თუ როგორ იძერწება გმირის სახე თითოეულ ამ ჟანრში. კვლევა ნათელს ჰფენს იმ ფაქტს, რომ მიუხედავად მკვეთრი ჟანრობრივი და იდეოლოგიური განსხვავებებისა, ორივე მიმართულება თანაბარი მხატვრული სიღრმით ახდენს ადამიანის სულის ანატომიის პოეტურ მოდელირებას და ასახავს არა მხოლოდ პერსონალურ ემოციებს, არამედ ხეობის ისტორიულ-კულტურულ გამოცდილებას.

მეთოდები. ტექსტში გამოყენებულია თეორიული მეთოდოლოგიები: შედარება, ანალიზი, განზოგადება და სხვ. გამოყენებული შედარებით-ისტორიული მეთოდი და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ანალიზი მოიცავს დასახელებულ თეორიულ მეთოდოლოგიებს.

შედეგები და მსჯელობა.

პერსონაჟის შინაგანი სამყაროს ასახვა და გმირის სახის გამოკვეთილი ტენდენციები. ზოგადად, ქართულ ხალხურ პოეზიაში ხშირია მაგალითები, რომლებზე დაკვირვებითაც შესაძლებელია ადამიანის შინაგანი სამყაროს გადმოცემა. დეტალებზე ყურადღების გამახვილება ნათელს ხდის თუ როგორი თანმიმდევრობით იძერწება გმირის სახე, როგორ პოულობს მთქმელი პერსონაჟის სულიერი სამყაროსკენ მიმავალ გზას.

ზეპირსიტყვიერებას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ტრადიციების ჩამოყალიბებაში. ლიახვის ხეობაში მოპოვებულ მასალათა შორის მოიპოვებიან ისეთი ნიმუშები, რომლებიც ამ მიმართულებით საგულისხმო დეტალების შემცველია. მათი ანალიზი იძლევა ისეთ ნიუანსებზე დაკვირვების შესაძლებლობას, თუ რა გზითაა შესაძლებელი გმირის სულიერი მდგომარეობის, განწყობების, განცდების გადმოცემა.

„თავისთავად ცხადია, განცდათა შესახებ საუბარი უმთავრესად იმ ნაწარმოებშია შესაძლებელი, რომლებშიც ასახვა ჰპოვა ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებამ, სოციალურმა უთანასწორობამ, მასთან ბრძოლამ და ა. შ. ადამიანს საკმაო ხანი დასჭირდა იმისთვის, რომ გაკვირვებული თვალი ვარსკვლავებით მოჭედილი ზეცისთვის მოეწყვიტა და საკუთარი „მე“-სთვის მიეპყრო მზერა. სხვა ჟანრებთან შედარებით, ფსიქოლოგიური წარმოსახვის სიღრმითა და თავისებურებებით ლირიკა, განსაკუთრებით სატრფიალო და საყოფიერო ლირიკა გამოირჩევა და ეს სავსაებით კანონზომიერიცაა. სიყვარულის გრძნობა, რასაკვირველია, ყოველთვის არსებობდა. ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს ხალხური პოეზიის მასალების მიხედვით თვალი გავადევნოთ მის ევოლუციასაც და ვნახოთ ის დიდი სხვაობა, რაც არსებობს ამირანისა და ყამარის, ერთის მხრივ, და, ვთქვათ, ვაჟიკასა და ხვარამზეს სიყვარულს შორის.“ (ბარნოვი, 1976: 13)

სატრფიალო ლირიკის შესანიშნავი ნიმუშია ჩვენს ხელთ არსებული შემდეგი ნიმუში, რომელშიც ადამიანის გარეგნული მშვენიერება სულიერი სილამაზის ტოლფარდია:

„აგრე ტურფა რამ გაგზარდა,
თუ არ ციდან ჩამოსული,
ლალი, წყნარი, პირ-მცინარი,
ხარ დილი-მზე ამოსული,
შენს ავად მახსენებელსა
ადრე ამოუვა სული!“ (აკაკის თვიური კრებული, 1899ა: 31)

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სატრფიალო ლირიკაში სულიერი მდგომარეობის გადმოცემა ზოგჯერ ყოფითი ყოველდღიურობის საფუძვლებითაც გახლავთ ნასაზრდოები. მიზეზები მრავალგვარი შეიძლება იყოს. მათ შორის ნაძალადევი ან

არასასურველი ქორწინება და სხვ. პერსონაჟის შინაგანი სამყაროს გასაშლელად ხშირად იუმორისტული ელემენტია წინა პლანზე წამოწეული.

აქვე მოვიტანთ ერთ ნიმუშს, რომელშიც შრიანი პატარძლის ბუნებაა ნაჩვენები და მისი მოუქნელობით, მოუხერხებლობით შეწუხებული მეუღლის დამოკიდებულებაა გადმოცემული:

„მე რომ საქმე მომივიდა,
სათქმელად მეტად ძნელია;
მთიული ქალი შევირთე,
ბრიყვი და გაუზრდელია,
ასეთი რამ ოხერია,
გოგრობას უგავს წელია.
სამი სარტყელი დაწყვიტა,
მეოთხე ჭიაფერია.
ავდექ საბელი ვუყიდე,
იმით შევუკარ წელია.“ (აკაკის თვიური კრებული, 1899ბ: 16)

ანალოგიური ელემენტების შემცველია შემდეგი ეპიზოდი:

„საყდარში რომ წავიყვანე,
ცხენს მომიწყვიტა წელია,
დაიჭირა ჩვენი მღვდელი
სულ დააგლიჯა წვერია,
სახლის კარებში შევიდა,
გადმოგვაფარა გენია,
მამამთილიც დაიხირა,
სულ დააგლიჯა წვერია,
მე და ეს ჩემი ქამანჩა
კარებს უკანა ვტენივართ,
მაშინდელს შეშინებულსა,
დღესაც არ მომდის ფერია.“ (აკაკის თვიური კრებული, 1899ბ: 16)

უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ არის ამ ლექსის ერთადერთი ვარიანტი. პეტრე უმიკაშვილის მიერ 1937 წელს გამოცემულ ხალხურ ტექსტებში მოთავსებულია მისი განსხვავებული ვერსია“

„მთიული ქალი ვითხოვე, ბრიყვი და გაუზრდელია,
ორი სარტყელი უყიდე, მესამე ჭიაფერია,
სამივ ერთად გადავაბი, კიდევ ვერ მოუწვდენია,
ის მამაძაღლის გარდილი კამბეჩზედ კიდევ სქელია,
ჩამოსაყვანათ რომ წაველ, ცხენ მამიწყვიტა წელია.
მთიულეთში რომ წაველი, მაჩუქეს ერბო-ყველია,
სულ ერთიანათ დავამხე ის ქოცოვები ჩვენია.
სულ ასრე ამეეჭამა, ძირზედ მეესო ხელია,
დედაკაცებში კვეხულობს: „ნიგოზსაც მივაგენია!“
ყმაწვილები დეელახა, საწყალი დედაჩემია,
დეეჭირა მამაჩემი, გედეეტრუსა წვერია.“ (უმიკაშვილი, 1937: 214)

არის შემთხვევები, როდესაც იუმორის ელემენტი სრულიად უგულებელყოფილია და გმირის სულიერი მდგომარეობა გამოიხატება დარდის, სევდის თუ ნაღველის ფონზე:

„არ დაიშალა, აკოცა
ნაწნავსა გიშრის თმისასა...

მაშინ შესტირა ლამაზმა:

-ვაი უღონო ქმრისასა!“ (აკაკის თვიური კრებული, 1899ა: 20)

სულიერი მდგომარეობის გადმოცემის უაღრესად გავრცელებული ხერხი ქართულ ზეპირსიტყვიერებაში - დატირებაა. მგლოვიარე დედის სახის ელემენტის შემოტანა უაღრესად მგრძნობიარე დეტალია, რაც გამოუთქმელი მწუხარების, თანაგრძნობის და სიბრალულის განცდით ავსებს მკითხველს, განსაკუთრებით მაშინ, თუ მთქმელი ოსტატურად იყენებს ამ ხერხს.

ჩვენ ხელთ არსებულ თქმულებაში „ყაჩაღი ივანე ქვრივიშვილი“ სწორედ ამგვარ ეპიზოდთან გვაქვს საქმე.

ეს თქმულება შეიცავს, როგორც პროზაულ, ისე ლექსად თქმულ ბოლო ნაწილს. ძირითად პროზაულ ნაწილში განვითარებული მოვლენები შემდეგნაირად ვითარდება - მოძალადე ივანეს კლავს მეუღლის ღირსების დამცველი ხევსური ლეგა. ხევსურის ვაჟკაცურ და ტრადიციების ერთგულ ბუნებაზე მიუთითებს მისი მოქმედებაც. ის პატივს მიაგებს გარდაცვლილი მტრის ნეშტს, დააწვენს, გადააფარებს საკუთარ ნაბადს და შეატყობინებს გარდაცვლილის ოჯახს მომხდარის შესახებ. სწორედ აქ იწყება კულმინაციური კვანძის გახსნა. მთქმელს მხოლოდ ორი სტრიქონის თქმით, ოსტატურად შევყევართ მგლოვიარე დედის ნაღველითა და სევდით სავსე გრძნობათა სამყაროში. მიუხედავად ორსტრიქონიანი შეძახილისა, აქ ყველაფერი ნათქვამია, მკითხველი თითქოს თვითმხილველი და მონაწილე ხდება დედის ამ უმძიმესი ტრაგედიის, მისი უდიდესი მწუხარებისა და გლოვისა:

„დედამ შესტირა დეშეთსა:

ლეგავ, რად გამატიალე?..“ (აკაკის თვიური კრებული, 1899ა: 13)

ქართულ ზეპირსიტყვიერებაში გმირის სულიერი მდგომარეობის გამოვლენის ზოგიერთ თავისებურებათა შესახებ მსჯელობისას პროფ. ფ. ზანდუკელი ბრძანებდა: „ლირიკული გმირი განცდის გამჟღავნებით ვლინდება ყველაზე უკეთ. ეს განცდა კი საკმაოდ თვალსაჩინოდაა მოცემული ხალხურ სატრფიალო ლექსებში. განცდის მიხედვით სუბიექტის დახასიათების გზა ლირიკული გმირის სახის გამოკვეთის ერთ-ერთი მომგებიანი საშუალებაა. ხალხური პოეზიის არა ერთ და ორ ნიმუშში მკაფიოდ მჟღავნდება გრძნობით ანთებული, თავდავიწყებამდე შეყვარებული ვაჟი. მისთვის უცხოა გრძნობათა ქვეტექსტით გამხელა. იგი პირდაპირ, შეუფარავად ამხელს ტანჯვას, გულში ჩაგუბებულ სევდას თუ სიხარულს და, ამ მხრივ სიყვარულისადმი, გარკვეული თვალსაზრისით, აღმოსავლურ დამოკიდებულებას ავლენს.“ (ზანდუკელი, 1985: 33)

კიდევ ერთხელ მოვიტანთ ზემოთ წარმოდგენილ სტრიქონებს:

„აგრე ტურფა რამ გაგზარდა,
თუ არ ციდან ჩამოსული,
ლალი, წყნარი, პირ-მცინარი,
ხარ დილი-მზე ამოსული,
შენს ავად მახსენებელსა
ადრე ამოუვა სული!“ (აკაკის თვიური კრებული, 1899ა: 31)

მსგავსი მასალები გვარწმუნებენ, რომ ასეთი სიტყვების თქმისას გმირი მთელი არსებით შეპყრობილია სიყვარულის გრძნობით, ეს მისი უზენაესი მდგომარეობაა. ფიქრობს, ოცნებობს და საჭიროების შემთხვევაში მზადაა უდიდესი მსხვერპლი გაიღოს სატრფოსთან მიახლების ნეტარების განსაცდელად.

როგორც მსგავსი ტექსტების უმრავლესობა გვარწმუნებს ქართული ხალხური პოეზიის ამ ტიპის პერსონაჟი ძირითადად ვაჟია. ცხადია, გვაქვს საპირისპირო პრეცედენტებიც, როდესაც ლირიკული გმირის მანტია ქალს აქვს მორგებული, თუმცა ასეთ შემთხვევები ბევრად ნაკლებია.

„ეს იმითაცაა მოტივირებული, რომ ქალის სოციალური მდგომარეობა, მისი რამდენადმე კარჩაკეტილობა და საერთოდ მდედრთა სქესის მოკრძალებულობა, განსაზღვრავდა გრძნობებისა და ვნებების გაუმხილებლობას. და მაინც, ეროვნული ფოლკლორის არა ერთი და ორი ნიმუში წარმოადგენს ქალს - ლირიკულ გმირს, რომლის მისწრაფებები, შეხედულებანი და ზრახვები რელიეფურად მჟღავნდება.“ (ზანდუკელი, 1985: 35)

სწორედ ამგვარ შემთხვევასთან გვაქვს საქმე შემდეგ სტრიქონებში:

„ვაშ-კაცო, ულვაშ კოკობო,
ქოჩორი შენი მიყვარსო,
თუ კი შენ ჩემთან არ მოხვალ,
მე შენთან ვინ მამიყვანსო.“ (აკაკის თვიური კრებული, 1899ა: 31)

ამდენად, წარმოდგენილი მასალა გვარწმუნებს, რომ ზოგადად ქართული ხალხური პოეზიის მგავსად, ლიხვის ხეობის ფოლკლორში ხალხური პოეზიის ლირიკული გმირიც მთელი არსებით შეყვარებულია, განიცდის, სწუხს, დარდობს. მთელი არსებით ეძლევა სიყვარულს, მისთვის არც თავგანწირვაა უცხო, თუმც ავლენს მოკრძალებასაც, ტრადიციების ერთგულებასაც და საუკეთესო თვისებების მატარებელია.

ადამიანის სულიერი მდგომარეობის გადმოცემა, ბუნებრივია, უაღრესად რთული პროცესია და ამ მისიის შესრულებისას ხალხურ პოეზიას უდიდესი და უმნიშვნელოვანესი როლი და მისია აკისრია.

სასულიერო - რელიგიური ლექსი. პროფ. მ. ჩიქოვანის მიხედვით, „ქართულმა ქრისტიანობამდელმა სიტყვიერებამ დროთა განმავლობაში დიდი ცვლილება განიცადა. ლექსები, სიმღერები, თქმულებები, ზღაპრები, გამოცანები, ანდაზები, სინამდვილის მხატვრული ასახვის ეს თვალსაჩინო საშუალებები, - საზოგადოებრივ ცხოვრების შეცვლასთან ერთად მკვეთრად იცვლიდნენ იდეოლოგიურ სახეს. ყოველი ისტორიული მოვლენა გამოძახილს პოულობდა მთქმელთა შემოქმედებაში. ასეთ დიდად მნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტს წარმოადგენდა ქართველების მიერ ქრისტიანობის მიღება IV საუკენეში. ქრისტიანობამ დიდი გარდატეხა მოახდინა ზეპირსიტყვიერებაში. პირველყოვლისა ახალმა რელიგიამ დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა წარმართულ პოეზიას. ამ იდეოლოგიურ ბრძოლას ახალი შინაარსის ლექსების წარმოშობა მოჰყვა, რომელთა თემატიკა რელიგიურ-ქრისტიანული ხასიათისა იყო.“ (ჩიქოვანი, 1946: 350)

რელიგიური ხასიათის ტექსტები უცხო არ გახლავთ ქართული ხალხური პოეზიისთვის, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ისინი მრავლადაა ლიახვის ხეობის ფოლკლორულ მასალაში. ტექსტები, ძირითადად, ტიპიური ხასიათისაა, შეიცავს დალოცვის ელემენტს. მათი სიუჟეტური ხაზი აღმავალია, მიემართება ზებუნებრივ ძალთა იერარქიულ სათავეში მდგომი უზენაესი ძალისადმი, ღვთისადმი. ასეთი ტექსტები შეიცავს სათხოვარს, ვედრებას, შედეგის მიღება კი რწმენის ძალაზეა დამოკიდებული.

„მანამდის ღმერთმა გაცოცხლოს,-
სანამ მთვარე და მზე არი,
ღმერთმა ნურა გაგვაგონოს
შენი მარცხი და ზიანი!“ (აკაკის თვიური კრებული, 1899ა: 29)

შემდეგ სტრიქონებშიც მთქმელი მთელი არსებით ევედრება ღმერთს, ლოცავს მსმენელს. ეს არის სტრიქონები, რომელიც ყოველგვარი ძალდატანების გარეშე უნდა მისწვდეს უზენაესს, შესმენილ იქნეს და მიზანს მიაღწიოს. სწორედ ეს დეტალი განასხვავებს ამ ტიპის ტექსტებს შელოცვისგან, ის არც გულისხმობს და არც თხოულობს არავითარ რიტუალს და ძალდატანებას:

„ისე ჩამოვთვლი შაირსა,
როგორც მწირველი მღვდელია;

წირვა-ლოცვა შეგეწიოს,
გუშინდელ-დღევანდელია.
მაღალი ღმერთი გწყალობდეს,
მიქელ და გაბრიელია.
დაგლოცოს წირვა-ლოცვამა,
ნაწილმა ბარძიმისამა,
ატოცის ხატმა და ჯვარმა,
ქალაქში სიონისამა.
აი სოფიოს საყდარმა,
ი მაღალ გუმბათისამა!
მცხეთის ხატმა და ჯვარმა,
გადმომცქირალმა მტკვრისამა!" (აკაკის თვიური კრებული, 1899ა: 30)

აქ საგულისხმოა ერთი დეტალი. ქართული ხალხური ლექსის საგანძურში (ძირითადად შელოცვის ტექსტებში) ხშირად ქრისტეს ცვლის მიქელ-გაბრიელი, რომელიც უამრავ ტექსტშია მოხსენიებული.[1] ზემოთ მოხმობილ ლექსში აღნიშნული ტენდენციის, დალოცვის ხასიათის სალექსო ფორმაში, განვრცობის მცდელობა შეინიშნება:

„მაღალი ღმერთი გწყალობდეს,
მიქელ და გაბრიელია." (აკაკის თვიური კრებული, 1899ა: 30)

სამწუხაროდ, ჩვენს ხელთ არსებულ ლიახვის ხეობის ფოლკლორულ მასალათა შორის სასულიერო - რელიგიური ხასიათის თხზულებების სხვა საგულისხმო ნიმუშები არ მოგვეპოვება.

დასკვნა. ამრიგად, სატრფიალო და რელიგიური ხალხური ლექსები განსხვავებული გზით, თუმცა თანაბარი სიღრმით ასახავენ პერსონაჟის შინაგან სამყაროს.

- სატრფიალო ლექსში გმირი ემოციური ინტენსივობის მატარებელია;
- რელიგიურ ლექსში გმირი სულიერი ძიებისა და მორალური განსაცდელის ფიგურაა.

ორივე ჟანრში შინაგანი სამყარო გამოიხატება მეტაფორული და სიმბოლური საშუალებებით, რაც ქართულ ზეპირსიტყვიერებას ანიჭებს ფსიქოლოგიურ სიღრმესა და კულტურულ მრავალშრიანობას.

ლიახვის ხეობის ფოლკლორულ სივრცეში ორივე ჟანრი მჭიდროდ არის დაკავშირებული ისტორიულ რეალობასთან. სოციალური დაძაბულობა და ტრავმული გამოცდილებები სატრფიალო ლექსში - მონატრებისა და განშორების ტკივილს აძლიერებს, ხოლო რელიგიურ ლექსში - რწმენისა და იმედის საფუძველს ქმნის.

ამგვარად, პერსონაჟის შინაგანი სამყარო არა მხოლოდ პირადი განცდის, არამედ ისტორიული გამოცდილების ანარეკლიც ხდება.

გამოყენებული ლიტერატურა

აკაკის თვიური კრებული. (1899)ა. # I, განყ. II.
აკაკის თვიური კრებული. (1899)ბ. # XI, განყ. II.
ბარნოვი, გ. (1976). *ადამიანის შინასამყაროს გამოხატვა ქართულ ხალხურ პოეზიაში, ქართული ფოლკლორი (მასალები და გამოკვლევები).* თბილისი.
ზანდუკელი, ფ. (1985). *მხატვრული ოსტატობის საკითხები ქართულ ფოლკლორში.* თბილისი.

[1] აღნიშნულ საკითხზე ყურადღებას ამახვილებს ზ. კიკნაძე. იხ. (კიკნაძე, 2008: 226)

კიკნაძე, ზ. (2008). *ქართული ფოლკლორი.* თბილისი.
მგალობლიშვილი, ს. (1963). *წარსულიდან.* თბილისი.
უმიკაშვილი, პ. (1937). *ხალხური სიტყვიერება.* ნაწილი პირველი, ლექსები, ანდაზები, გამოცანები. რედაქცია, ბიოგრაფია, წინასიტყვაობა და შენიშვნები ფ. გოგიჩაიშვილისა. თბილისი: ფედერაცია.
ქურდოვანიძე, თ. (2004). *ფოლკლორი და ქართული მწერლობა.* თბილისი.
ჩიქოვანი, მ. (1946). *ქართული ფოლკლორი.* თბილისი.

REFERENCES

ak'ak'is tviuri k'rebuli [Akaki's Monthly Collection]. (1899)a. # I, Sec.. II.
ak'ak'is tviuri k'rebuli [Akaki's Monthly Collection]. (1899)b. # XI, Sec. II.
barnovi, g. (1976). *adamianis shinasamqaros gamokhat'va kartul khalkhur p'oeziashi, kartuli polk'lori (masalebi da gamok'vlevebi) [Expression of the Inner World of Person in Georgian Folk Poetry, Georgian Folklore (Materials and Research)].* Tbilisi.
zanduk'eli, p. (1985). *mkhat'vruli ost'at'obis sak'itkhebi kartul polk'lorshi [Issues of Artistic Mastery in Georgian Folklore].* Tbilisi.
k'ik'nadze, z. (2008). *kartuli polk'lori [Georgian Folklore].* Tbilisi.
mgaloblishvili, s. (1963). *ts'arsulidan [From the Past].* Tbilisi.
umik'ashvili, p'. (1937). *khalkhuri sit'qviereba [Folk Oral Tradition].* nats'ili p'irveli, leksebi, andazebi, gamotsanebi [Part One. Poems, Proverbs, Riddles]. Edited, Biography, Foreword and Notes by F. Gogichaishvili. Tbilisi: Federation.
kurdovanidze, t. (2004). *polk'lori da kartuli mts'erloba [Folklore and Georgian Writing].* Tbilisi.
chikovani, m. (1946). *kartuli polk'lori [Georgian Folklore].* Tbilisi.